

## საქართველოს კანონი

„ლიცენზიებისა და ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონში  
ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ლიცენზიებისა და ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონში  
(სსმ I ნაწ. 2005წ. №40, მუხ.264) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები  
და დამატება:

1. 24-ე მუხლის 33-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„33. საბაჟო საწყობის (ღია, ან/და დახურული) საქმიანობის ნებართვა“.

2. კანონს დაემატოს 33<sup>1</sup> პუნქტი:

„33<sup>1</sup>. დროებითი შენახვის საწყობის (ღია ან/და დახურული)  
საქმიანობის ნებართვა“.

3. 34-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„34. საქონლის საბაჟო კონტროლის ქვეშ გადამუშავების ნებართვა“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე მე 15-ე დღეს.

მიხეილ სააკაშვილი